# ხელშეკრულება №24
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 08 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ნადეჟდა მანჯავიძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ თეიმურაზ შალამბერიძის ( ს/კ 12001011081) (შემდგომში – მიმწოდებელი), სახით: ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის სახელმწიფო ბიუჯეტის სასხსრებით ტონერი ლაზერული პრინტერებისათვის (CPV 30125110) შესყიდვა. გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

### *2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

2.2. შეაყიდვის ობიექტია: *4(ოთხი)ცალი კატრიჯის დატვირთვა ტონერით* (CPV30125110) ერთეულის ფასი 12 (თორმეტი)ლარი.

2.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 48 (ორმოცდარვა) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

### *3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა*

3.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით.

3.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.გორი სამეფოს N17.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სათანადო ზედნადების წარმოდგენით და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა ხელმოწერით.

### *5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);

5.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმსვლობაში.

5.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი. სამეფოს N17.

### *6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

6.1.შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### *7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

7.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

7.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

7.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## *8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

8.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

91.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

## *11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახოეციელებს სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის მატერიალური რესურსების მენეჯერი მედეა გუდაძე. ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
11.2..შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;
11.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. სხვა პირობები*

12.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
12.2არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
12.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
12.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## *13.* მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**

სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო
საზოგადოებრივი კოლეჯი
მისამართი: ქ. გორი,სამეფოს ქ№17
გადამხდელის კოდი 218083302
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

---
დირექტორი ნ.მანჯავიძე

**მიმწოდებელი:**

ი/მ „თეიმურაზ შალამბერიძე"
მისამართი: ქ. გორი, სუვოროვის 35.
საბანკო რეკვიზიტები სს „პროკრედიტ ბანკი"
გორის ფილიალ;ი ბ/კMIBGGE22
ანგ.GE96PC0123600100003754ს
ს/კ 12001011081

---
ი/მ თ.შალამბერიძე

# ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.გორი 08 ნოემბერი 2016 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი -ს მიერ 2016 წლის 08 ნოემბერს დადებული N24 ხელშეკრულება ი/მ თეიმურაზ შალამბერიძესთან ( ს/კ 12001011081) გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

| | | |
|---|---|---|
| დირექტორი | | ნადეჟდა მანჯავიძე |
| შესყიდვების კოორდინატორი | | სვეტლანა ზაუტაშვილი |
| მატერიალური რესურსების მენეჯერი | | მედეა გუდაძე. |